

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
2018 წლის _____ დეკემბრის
N _____ ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული
პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის
„ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“,
ლონისძიების „ჯილდო სპორტული მიღწევებისა და დამსახურებებისათვის“
ფარგლებში განაცხადის წარდგენისა და დაჯილდოების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ლონისძიების „ჯილდო სპორტული მიღწევებისა და დამსახურებებისათვის“ (შემგომში - ლონისძიება) ფარგლებში, განაცხადის წარდგენისა და დაჯილდოების წესი განსაზღვრავს, ლონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ლონისძიებაში ნომინანტებად სახელდება ქ. ბათუმის მუნიციპალური სპორტული კლუბების და ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“, მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდი, რომელთაც მიმდინარე წელს მოიპოვეს მაღალი სპორტული შედეგები ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის, უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე თუ ეროვნულ ჩემპიონატში და თავიანთი განსაკუთრებული და გამორჩეული წვლილი შეიტანეს სპორტის განვითარების, ქ. ბათუმის/რეგიონის/ ქვეყნის წარმოჩენის, აღიარებისა და პოპულარიზაციაში.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. ლონისძიების მიზანია სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენების სტიმულირება, წახალისება.

2. ლონისძიება ითვალისწინებს:

2.1. წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების და გუნდის გამოვლენას, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ;

2.2. დაჯილდოებას - წლის ნებისმიერ დროს ან ყოველი წლის დეკემბრის თვეში, ლონისძიების „წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან“ ოფიციალური ცერემონიალის თანხვედრის ფორმატში.

მუხლი 3. ნომინანტები / მაღალი სპორტული მიღწევები / ფულადი ჯილდოების ოდენობები

1. ნომინანტები, უმაღლესი რანგის ასპარეზობები, საპრიზო ადგილები, ფულადი ჯილდოები (დანართი 3):

- 1.1. ოლიმპიური თამაშები (გუნდური / ერთეულთა თანრიგი);
- 1.2. ოლიმპიური თამაშები (ახალგაზრდული - გუნდური / ერთეულთა თანრიგი);
- 1.3. მსოფლიო ჩემპიონატი (გუნდური / ერთეულთა თანრიგი);
- 1.4. მსოფლიო ჩემპიონატი (ახალგაზრდული - გუნდური / ერთეულთა თანრიგი);
- 1.5. ევროპის ჩემპიონატი / ევროპა ლიგა (საკლუბო / გუნდური / ერთეულთა თანრიგი);

- 1.6. ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდული - საკლუბო / გუნდური / ერთეულთა თანრიგი);
- 1.7. საქართველოს ჩემპიონატი / საერთაშორისო (უმადლესი/A კატეგორიის ტურნირი - გუნდური);
- 1.8. საქართველოს ჩემპიონატი / საერთაშორისო (უმადლესი/A კატეგორიის ტურნირი - ერთეულთა თანრიგი).
- 1.9. საქართველოს ჩემპიონატი (ახალგაზრდული - გუნდური / ერთეულთა თანრიგი):

2. ღონისძიებაში ნომინანტებად სახელდება ქ. ბათუმის მუნიციპალური სპორტული კლუბების და ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდი, რომელთაც მიმდინარე წელს მოიპოვეს მაღალი სპორტული შედეგები ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის, უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე თუ ეროვნულ ჩემპიონატში და გამორჩეული წვლილი შეიტანეს სპორტის განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ქ. ბათუმის/რეგიონის/ქვეყნის წარმოჩენის, აღიარებისა და პოპულარიზაციაში.

3. ერთჯერადი სახით გასაცემი ფულადი ჯილდოების ოდენობების განსაზღვრა:

3.1. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ჯილდოების ოდენობები განისაზღვრება სტანდარტული ფორმატით (დანართი 3.1), მერის ბრძანებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ფინანსური ასიგნებების ფარგლებში (თუ არსებული / დარჩენილი ფულადი რესურსი საკმარისია ნომინანტ(ებ)ზე გადასანაწილებლად);

3.2. თუ დასაჯილდოებელ პირთათვის სტანდარტული ფორმატით (დანართი 3.1) განაწილების შემთხვევაში, არსებული/დარჩენილი თანხა არასაკმარისია (ან პირიქით - თანხების აუთვისებლობის რეალობა, წლის ბოლოს), მაშინ ფულადი ჯილდოების ოდენობები განისაზღვრება ინდივიდუალურ ფორმატში (დანართი 3.2) ან შეივსება - ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესით.

მუხლი 4. ავტორიზაცია

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ნომინანტის წამოყენების უფლება აქვს:
 - 1.1. ქ. ბათუმის მუნიციპალურ სპორტულ კლუბებს;
 - 1.2. ა(ა)იპ „სპორტული ცენტრს“;
 - 1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ფინანსირებად, რეგიონალურ სპორტულ ფედერაციას;
2. ნომინანტების წარდგინების თაობაზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი - აპლიკანტი, განაცხადით (დანართი 2) მიმართავს მერს.
3. განაცხადის შევსების ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი ნომინანტი.
4. რამდენიმე ნომინანტის წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ ნომინანტზე, ივსება ახალი განაცხადი. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი ნომინანტი.
5. მერია უფლებამოსილია:
 - 5.1. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;
 - 5.2. მოხსნას აპლიკანტი, რომლის მონაცემები არ შეესაბამება მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას;
6. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტის მიღება / მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:
 - 1.1. შევსებული განაცხადი;
 - 1.2. ბიოგრაფიული მონაცემები;
 - 1.3. ნომინანტის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი დოკუმენტური და სხვა სახის თანდართული აუდიო/ვიდეო მასალა, საბუთები (მათი არსებობის შემთხვევაში);

1.4. ფოტოსურათი (ერთი ცალი);

1.5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

1.6. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი.

2. მეორე ეტაპი - დოკუმენტის განხილვა:

2.1. წარმდგენი/დინტერესებული პირის მიერ (შემდგომში - აპლიკანტი), შემოტანილი განაცხადი (რეგისტრაცია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება/ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25), თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

2.2. განყოფილება:

2.2.1. არეგისტრირებს განაცხადს - შეჰყავს ინფორმაცია ნომინანტთა რეესტრში;

2.2.2. შეისწავლის განაცხადს - შესაბამისობას წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში;

2.2.3. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, წარმდგენს წერილობით ეცნობება აღნიშნულის შესახებ (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი). ასევე, განხორციელებს კომუნიკაციას, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით (წერილის გადაგზავნის თაობაზე)), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

2.2.4. ამზადებს, სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათს (მერის სახელზე) თანდართული პროექტებით - მერის ბრძანება და „ფულადი ჯილდოები“ (დანართი 3).

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის ნებისმიერ დროს ან აღნიშნული წესის დამტკიცების დღიდან, მიმდინარე წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.

2. გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის ბრძანებით.

მუხლი 7. დაჯილდოება

1. დაჯილდოება ხორციელდება:

1.1. წლის ნებისმიერ დროს განცხადების შემოსვლიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

1.2. ან ყოველი წლის დეკემბრის თვეში, ღონისძიების „წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან“ ოფიციალური ცერემონიალის თანხვედრის ფორმატში.

2. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის გამართვის მიზანი - ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, საზეიმოდ აღინიშნოს, დააჯილდოს წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდები.

3. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, მერთან წინასწარი შეთანხმებით უზრუნველყოს სამსახური.